

04 | გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა



გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისთვის ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტები და ინფორმაცია, თუ რამდენად შეესაბამება მათ საქართველოს კანონმდებლობა.

საკითხი	ორჰუსის კონვენცია	საქართველო	შესაბამისობა	პრაქტიკული გამოწვევა
საზოგადოების მონაწილეობის ეტაპი	საზოგადოების მონაწილეობა ადრეული ეტაპიდან	გარემოს ეროვნული სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა შექმნისდაგვარად ადრეული ეტაპიდან.	+	შესაძლოა, ფორმალურად წესები დაცული იყოს, თუმცა, ეფექტიანი და შინაარსობრივი ჩართულობა მაინც ვერ ხდებოდეს.
საზოგადოების ინფორმირება	საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს დროულად, ეფექტიანად და შესაბამისი საშუალებებით	განსაზღვრულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და აღნიშნულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის დროულად, ეფექტიანად და ადეკვატური საშუალებებით მიწოდების ვალდებულება.	+	შესაძლოა, საჯარო უწყებებმა საზოგადოებას ინფორმაცია დროულად ან სრულყოფილად არ მიაწოდონ. ასევე, ინფორმაცია შეიძლება არ იყოს შესაბამისი და გასაგები ფორმით წარმოდგენილი (მაგალითად, გამოქვეყნდეს მხოლოდ ელექტრონულად, მოსახლეობის ნაწილისთვის გაუგებარ ენაზე ან კვლევების შინაარსი იყოს რთულად გასაგები).
საზოგადოების მონაწილეობის ფორმები	საჯარო განხილვაში მონაწილეობა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა	პირებს შეუძლიათ საჯარო განხილვებში მონაწილეობა და მოსაზრებების წარდგენა. საჯარო განხილვის ჩატარების დეტალური წესები განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“.	+	შესაძლოა, საჯარო განხილვებში მონაწილეობა ფორმალური ხასიათის იყოს. ასევე, შესაძლოა არასათანადოდ, გარკვეული ბარიერებით გაიმართოს (მაგალითად, საჯარო განხილვის არასათანადო დრო და ადგილი, ტრანსპორტირების პრობლემა, არასრული ინფორმაცია).

<p>საზოგადოების მონაწილეობის შედეგები</p>	<p>გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინება</p>	<p>გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სათანადოდ უნდა ასახოს გადაწყვეტილებაში საზოგადოების მონაწილეობის შედეგები.</p>	<p>+</p>	<p>შესაძლოა, გადაწყვეტილებაში ასახული და გათვალისწინებული არ იყოს საზოგადოების მოსაზრებები და მასში განმარტებული არ იყოს ამის მიზეზები. გარემოს ეროვნული სააგენტო ვალდებული არ არის, გადაწყვეტილება აუცილებლად საზოგადოების მოსაზრებების შესაბამისად მიიღოს, თუმცა, უნდა განმარტოს, როგორ და რატომ გაითვალისწინა ან არ გაითვალისწინა ისინი.</p>
<p>საბოლოო გადაწყვეტილება</p>	<p>გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</p>	<p>საბოლოო გადაწყვეტილება საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>	<p>+</p>	<p>გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია, თუმცა, შესაძლოა, ის არ შეიცავდეს სრულ ინფორმაციას, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა კვლევისა და დოკუმენტს, კონკრეტულ დასაბუთებას საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გადაწყვეტილებაში ასახვასთან დაკავშირებით.</p>

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

